



საქართველოს სავტომობილო  
გზების ღებარტამენტი



**2015**  
წლის ანგარიში

# 2015 წლის ბიუჯეტი

ქვეყნის მასშტაბით, ინფრასტრუქტურულ პროექტებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ხელმძღვანელობით, შესაბამისი პროფილის საქვეუწყებო და საკოორდინაციო ორგანიზაციები ახორციელებენ. წლის პოზიტიურ მაჩვენებლებს, სამინისტროს კოორდინაციით, სწორედ ამ ორგანიზაციების ეფექტიანი საქმიანობა განსაზღვრავს.

მიუხედავად იმისა, რომ წლის პირველი ნახევარი ატმოსფერული ნალექებისა და სხვა მეტეოროლოგიური მოვლენების სიხშირით ხასიათდება, აღნიშნული პერიოდისათვის განსაზღვრული გეგმა წარმატებით შესრულდა.

საქვეუწყებო და საკოორდინაციო უწყებების წარმატებული საქმიანობა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წლის მაჩვენებელზე პოზიტიურად აისახა (დაგეგმილი ბიუჯეტის 101%-ით ათვისება).

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ განხორციელებული პროექტების ფარგლებში, 2015 წელს, ათვისებულია 488,4 მლნ. ლარამდე, რაც წლის გეგმიური ბიუჯეტის 99%-ს შეადგენს. აღნიშნული დაფინანსების ფარგლებში შესრულდა საავტომობილო გზებისა და ხელოვნური ნაგებობების მშენებლობის, რეაბილიტაციისა და პერიოდული შეკეთების სამუშაოები.

## აქტივების მართვა

### ■ წლის ბიუჯეტის ათვისების მაჩვენებლები

უწყების მიერ ბიუჯეტის ათვისების მაჩვენებლები

დასახელება	2015 წლის დამთავრებული გეგმა	2015 წლის დაგეგმილი გეგმა	2015 წლის სპაისო ხარჯი	ათვისების % დამთავრებული გეგმის მიმართებაში	ათვისების % დაგეგმილ გეგმის მიმართებაში
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი	506 980 000	494 123 075	488 395 565	96%	99%



## საგზაო ინფრასტრუქტურა

- ჩქაროსნული გზაბაკეხილის მშენებლობა
- გზებისა და ხიდების რეაბილიტაცია
- ხიდების გადმოცდა

პროექტების შემსრულებელი უწყება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი



## ჩქაროსნული გზაბაკეხილის მშენებლობა

2015 წელს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ განხორციელდა 257,3 მლნ. ლარის ღირებულების სამშენებლო სამუშაოები, რაც საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობისათვის განსაზღვრული წლის გეგმიური ბიუჯეტის 99%-ია.

მშენებლობის პროექტების ფარგლებში, აქტიურად მიმდინარეობდა ქვეყნის აღმოსავლეთ-დასავლეთის დამაკავშირებელი E – 60 (ფოთი-თბილისი-წითელი ხიდი) და E – 70 (ფოთი-ბათუმი-სარფი) ჩქაროსნული გზატკეცილის მშენებლობის სამუშაოები.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში, სამშენებლო აქტივობა ცალკეულ მონაკვეთებზე სხვადასხვა ფაზაშია და ბიუჯეტის ათვისებაც შესაბამისი მოცულობით განხორციელდა.

მშენებლობის პროექტების ფარგლებში ათვისებულია 257,3 მლნ. ლარი

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი		ათვისებულია გეგმიური ბიუჯეტის 99%.
ათვისებული თანხა	257,3 მლნ. ლარი	
სამშენებლო აქტივობა	7 საგზაო მონაკვეთი	

2015 წლის საშენიანო აქტივობა ჩქაროსნულ გზატკეცილზე

ლაგვეთი	ობიექტის დასახელება	ობიექტის სიგრძე (კმ)	აქტივობა 2015 წელს (კმ)	ხიდაბი აქტივობა (ერთეული)
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი	რუისი-აგარა-აგარას შემოვლითი გზის მოდერნიზაცია	19.5 4 ზოლი	19.5 4 ზოლი	9
	აგარა-გემო ოსიაურის გზის მოდერნიზაცია	12.0 4 ზოლი	12.0 4 ზოლი	0
	გესტაფონი-ქუთაისის ახალი შემოვლითი გზის კმ 0- კმ15 შენიანობა	15.2 4 ზოლი	15.2 4 ზოლი	19
	ქუთაისის შემოვლითი -სამტრედიის გზის კმ 0- კმ 24 შენიანობა	24.0 2 ზოლი	10.0 2 ზოლი	5
	სამტრედია-გრიგოლეთის საავტომობილო გზის მონაკვეთის შენიანობა (ლოტი I)	11.5 4 ზოლი	11.5 4 ზოლი	2
	სამტრედია-გრიგოლეთის საავტომობილო გზის მონაკვეთის შენიანობა (ლოტი IV)	9.5 4 ზოლი	3 4 ზოლი	0
	ქობულეთის შემოვლითი გზის მონაკვეთის შენიანობა (ლოტი II)	18.0 2 ზოლი	18.0 2 ზოლი	15
ჯამი მაგისტრალური		109,7	89,2	50

2015 წელს ჩქაროსნული გზატკეცილის მშენებლობის პროექტების ფარგლებში, ქვეყნის მასშტაბით, სამშენებლო სამუშაოები 7 მონაკვეთზე - ჯამში 89,2 კმ გზასა და 50 ხიდზე მიმდინარეობდა. აქედან, 2015 წელს ჩქაროსნულ გზატკეცილზე დაიგო სულ 29 კმ გზა. მათ შორის, 19,5 კმ ოთხ-ზოლიანი მონაკვეთია (სადაც ორივე მიმართულებაზე, ჯამში, 39 კმ საგზაო საფარია დაგებული) ხოლო დანარჩენ 9,5 კმ-იან მონაკვეთზე ორზოლიანი ახალი გზა მოეწყო. აღნიშნული საგზაო მონაკვეთებიდან, ავტოტრანსპორტის მოძრაობა გაიხსნა, ჯამში, 19,5 კმ გზაზე.

ჩქაროსნული გზატკეცილის სხვადასხვა მონაკვეთებზე, ასევე, აქტიურად მიმდინარეობდა ხელოვნური ნაგებობების მშენებლობა: დასრულების სტადიაში გადავიდა 13 ხიდის მშენებლობა, ხოლო 11 ხიდის მშენებლობა დასრულდა.

პარალელურ რეჟიმში ხორციელდებოდა მომდევნო სამშენებლო მონაკვეთების დეტალური პროექტირებისა და სატენდერო პროცედურების მომზადების სამუშაოები. ასევე, შესაბამისმა სამსახურებმა მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩაატარეს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან მოლაპარაკებების პროცესის ხელშეწყობისათვის, რაც ჩქაროსნული გზატკეცილის მომდევნო მონაკვეთების მშენებლობის მაქსიმალურად ოპტიმალურ ვადებში დაწყებას ისახავს მიზნად.

**2015 წელს ჩქაროსნულ გზატკეცილზე, სამშენებლო აქტივობა 89,2 კმ გზასა და 50 ხიდზე მიმდინარეობდა**



## რუისი-აგარას მონაკვეთის მშენებლობა

ღონორი - მსოფლიო ბანკი

სამშენებლო მონაკვეთის სიგრძე (კმ)	19,5
სავალი ზოლის რაოდენობა	4
სახიდე გადასასვლელი	11

2015 წელს დასრულდა რუისი-აგარას 19,5 კმ-იანი ჩქაროსნული გზის მშენებლობის სამუშაოები და ავტოტრანსპორტის მოძრაობა ახალაშენებულ მონაკვეთზე გადაერთო.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში მშენებლობა 2014 წელს დაიწყო, 2015 წელს ბეტონის საფარი მოეწყო დარჩენილ 8,5 კმ ოთხ-ზოლიან მონაკვეთზე (გზის ორივე მიმართულებაზე ჯამში - 17 კმ);

დასრულდა 11 ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობა.

პროექტის ფარგლებში, გზის მთელ მონაკვეთზე დასრულდა და წყალგამტარი მილებისა და მიწისქვეშა გასასვლელების მშენებლობა; მოეწყო გამყოფი ზოლი ნიუჯერსის ტიპის ბარიერებით; გზა შემოიფარგლა ლითონის მრუდხაზოვანი ძელებით; სატრანსპორტო კვანძებზე დაიგო ასფალტ-ბეტონის საფარი.

## აგარა-ზემო ოსიაურის მონაკვეთის მშენებლობა

ღონორი - მსოფლიო ბანკი

სამშენებლო მონაკვეთის სიგრძე (კმ)	12
სავალი ზოლის რაოდენობა	4
სახიდე გადასასვლელი	9

აგარა-ზემო ოსიაურის 12 კმ-იანი ჩქაროსნული გზის მშენებლობის სამუშაოების ფარგლებში, 2015 წელს ცემენტ-ბეტონის საფარი დაიგო 3 კმ ოთხზოლიან მონაკვეთზე.

წლის განმავლობაში, პროექტის ფარგლებში განხორციელდა: მოსამზადებელი და სამობილიზაციო სამ-

უშაოები; მცენარეული ფენის მოხსნისა და დასაწყობების სამუშაოები; წყალგამტარი რკინა-ბეტონის მილებისა და მიწისქვეშა გასასვლელების მშენებლობა; გზის სავალ ნაწილზე მიწაყრილის მოწყობის სამუშაოები.

აღნიშნულ მონაკვეთზე სამშენებლო სამუშაოები აქტიურად გრძელდება.





### ქობულეთის ახალი შემოვლითი გზის მშენებლობა

დონორი - აზიის განვითარების ბანკი

საშენებლო მონაკვეთის სიგრძე (კმ)	18
სავალი ზოლის რაოდენობა	2
სახიდე გადასასვლელი	15
გვირაბი	2

მონაკვეთი II - 2015 წელს სამშენებლო აქტივობა მიმდინარეობდა როგორც საგზაო მონაკვეთზე, ასევე, ხელოვნურ ნაგებობებზე.

პროექტის ფარგლებში განხორციელდა: მიწის ვაკისის მოწყობის; კომუნიკაციების გადაღების; ხიდების, გზაგამტარების, რკინა-ბეტონის წყალგამტარი მილებისა და მიწისქვეშა გასასვლელის მშენებლობის; N1 გვირაბის ექსკავაციისა და დროებითი გამაგრების მოსაწყობად

ტორკრეტირების სამუშაოები, ხოლო N2 გვირაბის მშენებლობა ღია წესით (მიწის ექსკავაცია) ხორციელდება.

აღსანიშნავია, რომ ამ მონაკვეთზე ხელოვნური ნაგებობების მშენებლობა ახალი ტექნოლოგიებით მიმდინარეობს. საქართველოში ყველაზე გრძელი - 920 მეტრიანი და 1180 მეტრიანი ხიდები, პირველად საქართველოში, უახლესი ტექნოლოგიით - ბურჯებზე მოძრავი ყალიბის გამოყენებით შენდება.

### საქართველოში ყველაზე გრძელი ხიდების მშენებლობა

ქობულეთის შემოვლითი ახალი გზის მე-13 და მე-14 კილომეტრებზე, სოფ. საჩინოსთან ახლოს შენდება საქართველოში ყველაზე გრძელი სახიდე გადასასვლელი — 1180 მეტრიანი ხიდი-ვიადუკი და 920 მეტრიანი ხიდი-ესტაკადა.

აღნიშნული ხიდების მონოლითური მალისნაშენის სამშენებლო სამუშაოები უახლესი ტექნოლოგიით ხორციელდება. კერძოდ, პირველად საქართველოში, სწორედ ამ ნაგებობებზე გამოიყენება ბურჯებზე მოძრავი ყალიბის სისტემის ტექნოლოგია, რომელიც მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში MSS - ტექნოლოგიის სახელით არის ცნობილი და აპრობირებული.

ხიდების მშენებლობის პროექტი გარდამავალია და ის დღესაც გრძელდება.



## ქუთაისის შემოვლითი-სამგზაო გზის მშენებლობა

ღონორი - იაკონის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო

სამშენებლო მონაკვეთის სიგრძე (კმ)	24
სავალი ზოლის რაოდენობა	2
სახიდა გადასასვლელი	8

2015 წელს ქუთაისის შემოვლითი-სამგზაო გზაზე (კმ0-კმ24) შესრულდა ბეტონის საფარისა და მიწის ვაკისის მოწყობის სამუშაოები, ასევე, დასრულდა ხიდებისა და გზაგამტარებზე სამშენებლო სამუშაოები; განხორციელდა ნაპირსამაგრი სამუშაოები მდინარე გუბისწყალსა და მდინარე რიონზე.

აღნიშნულ მონაკვეთზე ძირითადი სამშენებლო სამუშაოები დასრულებულია.



## ზესტაფონი-ქუთაისის შემოვლითი გზის მშენებლობა

ღონორი - იაკონის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო

სამშენებლო მონაკვეთის სიგრძე (კმ)	15.2
სავალი ზოლის რაოდენობა	4
სახიდა გადასასვლელი	19
საფეხმავლო ხიდი	5

ზესტაფონი-ქუთაისის შემოვლითი გზის 15,2 კმ-იანი მონაკვეთის მშენებლობის პროექტის ფარგლებში, ბეტონის საფარი მოეწყო 8 კმ. ოთხზოლიანი მონაკვეთზე (გზის ორივე მიმართულებაზე ჯამში - 16 კმ.). დანარჩენ მონაკვეთებზე განხორციელდა: მიწის ვაკისის, წყალგამტარი მილებისა და მიწისქვეშა გასასვლელის მოწყობის სამუშაოები; კომუ-

ნიკაციების - საშუალო და მაღალი ძაბვის ელ. გადამცემი ხაზების გადაადგილების სამუშაოები; განხორციელდა ხიდებზე რკინა-ბეტონის ნაბურღ-ნატენი ხიმინჯების, კოლონებისა და რიგელების მოწყობის სამუშაოები, ასევე, ადგილზე მიმდინარეობდა წინასწარდაძაბული რკინაბეტონის კოჭების წარმოება და მონტაჟი.



## სამგზაო-გრიგოლეთის საავტომობილო გზის მშენებლობა

ღონორი - ევროპის სინვესტიციო ბანკი

მონაკვეთი	I	IV
სამშენებლო მონაკვეთის სიგრძე (კმ)	11,5	9,5
სავალი ზოლის რაოდენობა	4	4
სახიდა გადასასვლელი	12	4

სამგზაო-გრიგოლეთის 51,6 კმ-იანი გზის მშენებლობა 4 მონაკვეთად (ლოტად) ხორციელდება. ამ ეტაპზე სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს პირველ და მეოთხე მონაკვეთებზე.

**მონაკვეთი I (კმ 0-კმ 11)** - აღნიშნულ მონაკვეთზე, რომელიც ჭარბწყლიანი ნიადაგით ხასიათდება, ჩქაროსნული ავტომობილური გზის მშენებლობა თანამედროვე - „PVD“ ტექნოლოგიით მიმდინარეობს. ამ ტექნოლოგიით, გზის საფუძველ გრუნტში, ნიადაგიდან წყლის გამოდევნის მიზნით, ვერტიკალური დრენაჟები (ფითილები) თავსდება, რაც მომავალში გზის საფარის დეფორმაციის შესაძლებლობას ამცირებს.

2015 წელს აღნიშნულ მონაკვეთზე განხორციელდა: დაბალი წნევის გაზსადენი მილების გადასასვლების; ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელების გადასასვლების; მცენარეული ფენის მოხსნა-დასაწყობებისა და მიწის ვაკისის მოწყობის; გზაგამტარებზე რკინა-ბეტონის ნაბურღ-ნატენი ხიმინჯების, ხოლო

მიწის ვაკისის ქვეშ ვერტიკალური დრენაჟების მოწყობის სამუშაოები.

**მონაკვეთი IV (კმ 42 - კმ 51)** - სამგზაო-გრიგოლეთის მე-2 ლოტის მშენებლობაც ახალი ტექნოლოგიის გამოყენებით ხორციელდება.

კერძოდ, გზის საფუძველის გრუნტში, ნიადაგიდან წყლის გამოდევნის მიზნით, ეწყობა სპეციალური ქვის სვეტები, რაც შემდგომში შეამცირებს გზის დეფორმაციის დონეს. აღნიშნული მეთოდი, საქართველოში პირველად გამოიყენება.

გზის მშენებლობის პროექტის ფარგლებში განხორციელდა სამშენებლო ბაზის მოწყობის, სამშენებლო მონაკვეთზე მცენარეული ფენის მოხსნისა და დასაწყობების, კომუნიკაციების გადაადგილების სამუშაოები.

დაიწყო და გრძელდება მიწის ვაკისის ქვეშ ქვის სვეტების მოწყობის სამუშაოები.

## გზების რეაბილიტაციის პროექტები

საავტომობილო გზების რეაბილიტაციის ძირითად პროექტებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს კოორდინაციით, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ახორციელებს.

საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტების განსახორციელებლად, 2015 წელს სახელმწიფო ბიუჯეტისა და დონორების თანადაფინანსებით, ჯამში 153,7 მლნ. ლარია ათვისებული.

საქართველოს საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების პროექტების ფარგლებში, ქვეყნის მასშტაბით, სარეაბილიტაციო აქტივობა 124 საგზაო მონაკვეთზე ჯამში 254 კმ-ზე განხორციელდა.

დამკვეთი	ათვისებული თანხა მლნ. ლარი	ობიექტის რაოდენობა	გზის ჯამური სიგრძე - კმ	ხილავის რაოდენობა
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი	153,7	124	254	36





დასრულებული პროექტები – საქართველოს ბიუჯეტის დაფინანსება  
საერთაშორისო მნიშვნელობის გზები

თბილისი-სენაკი-ლესელიძის ს/გზის 154-ე კმ-ზე არსებული ხიდის რეაბილიტაცია
თბილისი-სენაკი-ლესელიძის ს/გზის კმ175-176; კმ188-კმ189 მონაკვეთების კერიოდული შეკეთება
მცხეთა-სთაფანწმინდა-ლარსის ს/გზის კმ117 -კმ121 მონაკვეთის რეაბილიტაცია
ხაშური-ახალციხე-ვალეს ს/გზის კმ 11-კმ 12 მონაკვეთის რეაბილიტაცია
მცხეთა-სთაფანწმინდა- ლარსის ს/გზის კმ86-კმ87 მონაკვეთის რეაბილიტაცია
თბილისი-სენაკი-ლესელიძის ს/გზის კმ217-კმ228 მონაკვეთების რეაბილიტაცია (ლოტი III: კმ224-კმ228)
თბილისი-სენაკი-ლესელიძის ს/გზის კმ116-კმ118.5 მონაკვეთის კერიოდული შეკეთება
მარნეული (კოსტავას ქუჩიდან)-სადახლოს ს/გზის მე-11 კმ-ში, (სოფ. იმირი) მდ. ხრამზე ხიდის რეაბილიტაცია
მცხეთა-სთაფანწმინდა-ლარსის ს/გზის კმ106+180-კმ106+880; კმ107+180-კმ110+850 მონაკვეთის რეაბილიტაცია
მცხეთა-სთაფანწმინდა- ლარსის ს/გზის კმ71-კმ73(0.452) მონაკვეთის რეაბილიტაცია
თბილისის-ბაკურციხე-ლაგოდეხის ს/გზის კმ120-კმ131 მონაკვეთის კერიოდული შეკეთება
სენაკი-ფოთი-სარფი ს/გზის კმ1-კმ13 მონაკვეთის რეაბილიტაცია
ხაშური-ახალციხე-ვალეს ს/გზის კმ 51-კმ52 მონაკვეთის რეაბილიტაცია
თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის ს/გზის 49-ე კმ-ზე, მდ. თვალთხევზე ხიდის რეაბილიტაცია
თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის ს/გზის 151-ე კმ-ზე, მდ. ნინოსხევზე ხიდის რეაბილიტაცია
მცხეთა-სთაფანწმინდა-ლარსის ს/გზის კმ28+800-ზე მიწის ვაკის ჩაწყობის სანიმალოდამოკრეპნის რეაბილიტაცია
თბილისი-სენაკი-ლესელიძის ს/გზის 303-ე კმ-ში მდ. ჭაფხინჯაზე წყალგამტარი მილის რეაბილიტაცია

## საქართველოს საავტომობილო გზების დასრულებული პროექტები

2015 წელს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, გზებისა და ხელოვნური ნაგებობების რეაბილიტაციის სამუშაოებისათვის ათვისებული თანხა 153,7 მლნ. ლარს შეადგენს.

აღნიშნულ პერიოდში, სახელმწიფო ბიუჯეტისა და დონორი ორგანიზაციების დაფინანსებით, სარეაბილიტაციო აქტივობა მიმდინარეობდა 124 საგზაო მონაკვეთზე, მათ შორის, სარეაბილიტაციო მონაკვეთებზე არსებულ ხელოვნურ ნაგებობებზე.

აქედან, სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა 71

ობიექტზე, ხოლო 53 ობიექტი გარდამავალი პროექტია, სადაც სარეაბილიტაციო აქტივობა გრძელდება.

2015 წელს რეაბილიტაცია ჩატარდა 254 კმ საავტომობილო გზასა და 36 ხიდს. რეაბილიტაციის პროექტების ფარგლებში აშენდა 8 ახალი საავტომობილო ხიდი.

ასევე, გზების პერიოდული შეკეთების პროექტების ფარგლებში განხორციელდა 3000 კმ-ზე მეტი საავტომობილო მონაკვეთის ჰორიზონტალური მონიშვნისა და საგზაო უსაფრთხოების ღონისძიებებით გათვალისწინებული სხვა სამუშაოები.



დასრულებული სამუშაოები – საქართველოს ბიუჯეტის დაფინანსება  
შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზები

ახმეტა-თელავი-ბაკურციხის ს/გზის კმ64+000-კმ73+00 მონაკვეთის კერიოდული შეკეთება
თბილისი(ველი)-გარინი-რუსთავის ს/გზის კმ1-კმ3.4 მონაკვეთის რეაბილიტაცია
ქუთაისი-გაგუთი-საყულია-ბაში-იანეთის ს/გზის კმ6-კმ7 მონაკვეთის რეაბილიტაცია
გესტაფონი-ბაღდათი ს/გზის კმ1-კმ5 მონაკვეთის კერიოდული შეკეთება
ბაღდათი-ვანი-დაფნარის ს/გზის კმ16-კმ22 მონაკვეთის რეაბილიტაცია
ქუთაისი(სალორია)-ბაღდათი-აბასთუმანი-ბენარას ს/გზის კმ17-კმ21 მონაკვეთის რეაბილიტაცია
გომი-სახხერა-ჭიათურა-გესტაფონის ს/გზის 66-კმ-ზე (ქ. ჭიათურა) საყრდენი კედლის აღდგენა
გუგული-ჭვარი-მესტია-ლასდილის ს/გზის მესტია-უშგულის 47 კმ-იანი მონაკვეთის რეაბილიტაცია ლოტი N1 კმ 141 - კმ 154 (12.37კმ) სამუშაოები
გესტაფონი-ბაღდათის ს/გზის კმ11-კმ18.8 მონაკვეთის რეაბილიტაცია
სენაკი-ნოქალაქევი-ბანძა-ხონი ს/გზის კმ4+150-ზე (სოფ. ძველი სენაკი) არსებული მილის რეაბილიტაცია
გუგული-ანაკლიას ს/გზის კმ29+365-კმ31+250 მონაკვეთის რეაბილიტაცია
ჩოლაბურის ხიდი-თერჯოლა-თყიბულის ს/გზის კმ22-კმ29 მონაკვეთის კერიოდული შეკეთება
ქუთაისი-წყალთუბო-ცაგერი-ლენთეხი-ლასდილის ს/გზის 125-ე კმ-ზე წყალგამტარი მილის მოწყობა
ქუთაისი-თყიბული-ამბროლაურის ს/გზის კმ14-კმ22 (ორკირი-ხრესილი) მონაკვეთის რეაბილიტაცია
წყალთუბო-ფარცხანაყანავი ს/გზის კმ1-კმ11.3 მონაკვეთის რეაბილიტაცია (ლოტი 1 კმ0+000-კმ5+579)
გომი-სახხერა-ჭიათურა-გესტაფონის ს/გზის კმ35; კმ37-კმ42 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები
მათხოჭი-ხიდი-გორდი-კინჩხას ს/გზის კმ15-კმ19 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები
საჭავჭავო-ჩოხატაური-ოგორეთი-ქობულეთის ს/გზის კმ60-კმ67.5 მონაკვეთის კერიოდული შეკეთება
გორი-ცხინვალი-გუფთა-ჭავჭავ-როკის ს/გზის მ-4 კმ-დან ვარიანი-საქაშეთი-ბრეთი-თბილისი-სენაკი- ლესელიძის ს/გზის 102-კმ-მდე ს/გზის მ-11 კმ-ზე არსებული სახიდე გადასასვლელის რეაბილიტაცია
წერეთელი-ნორგული(მირგოვკა)-მულანო-ქესალო ს/გზის კმ15+500-კმ25 მონაკვეთის რეაბილიტაცია
გაჭვანი-მცხეთა-კავთისხევი-გორი-სკრა-ქარელი-ოსიაურის ს/გზის კმ72-კმ77 მონაკვეთის კმ72-კმ73 რეაბილიტაცია
გუგული-ნარაგენი-ძველი ხიბულა-ახალი ხიბულა-გუბის ს/გზის კმ20-კმ24 მონაკვეთის რეაბილიტაცია
ახმეტა-ბანარას ნაკრძალი ს/გზის მ-11 კმ-ში არსებული მილის რეაბილიტაცია
გუფთა-ონი ს/გზის კმ 63+200-კმ64+200 მონაკვეთის რეაბილიტაცია
ვარციხე-როხის ს/გზის მ-6 კმ-ზე, მდ.კორწყალზე არსებული ხიდის კრევენცია-რეაბილიტაცია
გაჭვანი-მცხეთა-კავთისხევი-გორი-სკრა-ქარელი-ოსიაურის ს/გზის კმ72-კმ77 მონაკვეთის რეაბილიტაცია
სოფელ რიყის ცენტრში მისასვლელი ადგილობრივი მნიშვნელობის ს/გზის რეაბილიტაცია
სოფელ შაგონის, შაგონა-მდ.ანგურამდე ადგილობრივი მნიშვნელობის ს/გზის რეაბილიტაცია



მიმდინარე სამუშაოები – საქართველოს ბიუჯეტის დაფინანსება  
საერთაშორისო მნიშვნელობის გზები

სენაკი-ფოთი-სარჯი ს/გზის კმ13+000- კმ24+800 მონაკვეთის რეაბილიტაცია
სენაკი-ფოთი-სარჯის ს/გზის 110 კმ-ზე მდ. ჭოროხზე არსებული ხიდის რეაბილიტაცია
ხაშური-ახალციხე-ვალე ს/გზის 93-ე კმ-ზე მდ.ფოცხოვზე ახალი ხიდის მშენებლობა
ფონიჭალა-მარნეული-გუგუთის ს/გზის კმ75+050-კმ84+150 მონაკვეთის რეაბილიტაცია
ფონიჭალა-მარნეული-გუგუთის ს/გზის კმ68+000-კმ75+050 მონაკვეთის რეაბილიტაცია
მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის ს/გზის კმ110+900-ზე მშრალ ხევზე არსებული ხიდის რეაბილიტაცია
თბილისი-სენაკი-ლესელიძე ს/გზის კმ167+650-ზე, მდ. ძირულაზე არსებული ხიდის რეაბილიტაცია
თბილისის შემოსასვლელი ს/გზის კმ34.3-კმ49 მონაკვეთის რეაბილიტაცია
თბილისი-სენაკი-ლესელიძის ს/გზის კმ135+700-კმ136+500 მონაკვეთზე ტროტუარების მოწყობა
ხაშური-ახალციხე-ვალეს ს/გზის 27-ე კმ-ში (ქ.ბორჯომი) არსებული თაღოვანი ღვარცოფგამტარის რეაბილიტაცია
მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის ს/გზის 136 კმ-ზე საბაჟო გამშვები პუნქტის „ყაზბეგის“ მიმდებარედ „საავტოსტრადო ნაგებობის“ მოწყობა
მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის ს/გზაზე ღვარცოფის გატარების მიზნით სოფ. ქვეშეთში არსებულ ხიდზე რასატარებელი კრევენციული ღონისძიებები

მიმდინარე სამუშაოები – საქართველოს ბიუჯეტის დაფინანსება  
შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზები

ჟინვალ-ბარისასო-შატილის ს/გზის კმ51+150-კმ52+350 მონაკვეთის რეაბილიტაცია
ბერო-თურბაბა-შინრა ს/გზის კმ1-კმ7 მონაკვეთის რეაბილიტაცია
მარნეული-თეთრიწყარო-ნალკა ს/გზის კმ34-კმ41 მონაკვეთის რეაბილიტაცია
ქუთაისი-თყიბული-ამბროლაურის ს/გზის კმ23-კმ30 მონაკვეთის რეაბილიტაცია
იგოეთი-კასპი-ახალქალაქის ს/გზის მ-7 კმ-ში დაზიანებული ქვედა საყრდენი კედლის აღდგენა
იგოეთი-კასპი-ახალქალაქის ს/გზის კმ1-კმ6.5 მონაკვეთის რეაბილიტაცია
ალკანა-ცაგერის ს/გზის კმ13-კმ22 მონაკვეთის რეაბილიტაცია
ქუთაისი-ბაღდათი-აბასთუმანი-ბანარას ს/გზის 25-ე კმ-ზე მდ. ხანისწყალზე არსებული ხიდის რეაბილიტაცია
ქუთაისი-ბაღდათი-აბასთუმანი-ბანარას ს/გზის 30-ე კმ-ზე მდ. ხანისწყალზე არსებული ხიდის რეაბილიტაცია
ბაღდათი-ვანი-დაფნარის ს/გზის კმ1-კმ6 მონაკვეთის კერიოდული შეკეთება
გაჭვინი-მცხეთა-კავთისხევი-გორი-სკრა-ქარაღ-ოხიანის ს/გზის კმ74-კმ77 მონაკვეთის რეაბილიტაცია
წყალთბო-ხონის ს/გზის მ-13-ე კმ-ზე მდ. კუნაბე სახილველ გადასასვლელის შენახვა
დიდი დანისი-დანი-გომარეთი-ბაღდათის ს/გზის კმ32+560-კმ41+00 მონაკვეთის რეაბილიტაცია
ნარკავი-მცხეთა-რკინიგზის სადგურის საავტომობილო გზის მ-2 კმ-ზე ახალი ხიდის მოწყობა
ბათუმი-ახალციხის ს/გზის 110 კმ-ზე არსებული რკინიგზის მილის რეაბილიტაცია
ქუთაისი(ჭომა)-ალკანა-მამისონის უღელტეხილი ს/გზის კმ4-კმ14 მონაკვეთის რეაბილიტაცია
წყალთბო-ფარცხანაყანავი ს/გზის კმ1-კმ11.3 მონაკვეთის რეაბილიტაცია (ლოტი 2 კმ5+586-კმ11+252)
ბორჯომი-ბაკურიანი-ახალქალაქის ს/გზის კმ11+000-კმ13+200 მონაკვეთის კერიოდული შეკეთება
ვაზიანი-მარტყოფი-ნორი-ლვთაბას ს/გზის კმ1-კმ6.3 მონაკვეთის რეაბილიტაცია
შუამთა-ჭყვიშის (მ. ტაბიძის სახლ-მუზეუმი) ს/გზის კმ 0+000-კმ4+574 მონაკვეთის რეაბილიტაცია
გუგული-ჭვარი-მესტია-ლასდილის ს/გზის 48 კმ-ზე არსებული გვირაბის რეაბილიტაცია
ქუთაისი(სალორია)-ბაღდათი-აბასთუმანი-ბანარას ს/გზის კმ11-კმ16 მონაკვეთის რეაბილიტაცია
სალხინო-დადიანების სასახლესთან მისასვლელი ს/გზის მ-4 კმ-ში მდ. ნარხურაზე ახალი ხიდის შენახვა
წინამური-საგურამო-ცხვარიჭამიას ს/გზის კმ9+700-კმ16+050 მონაკვეთის რეაბილიტაცია
ურბნისის მონასტერთან მისასვლელი ს/გზის რეაბილიტაცია
გორი-მაჭვირისხევის ს/გზის 16+000-კმ16+946 მონაკვეთის რეაბილიტაცია
ხონის მუნიციპალიტეტში, სოფ. კინახაში ადგილობრივი მნიშვნელობის ს/გზის რეაბილიტაცია
ქ. მარტვილში, ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძართან მისასვლელი ადგილობრივი მნიშვნელობის ს/გზის რეაბილიტაცია



გზების რეაბილიტაციის პროექტების ფარგლებში აშენებული ახალი ხიდები

მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის ს/გზის 107-ე კმ-ზე ხიდი მდ. ბიღარაზე
გუგული-ნარხანი-ქველი ხიბულა-ახალი ხიბულა-გუბის ს/გზის კმ20-კმ24 (კმ 7+34) ხიდი ღელეზე
მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის ს/გზაზე 108 კმ-ზე ხიდი მდ. ნარვანაზე
ნათანაბი-შრომა-ურეკი ს/გზის მ-10 კმ-ზე ხიდი მდ. სეფაზე
სნო-ახალციხე-ჭუტას ს/გზის მ-8 კმ-ზე, ხიდი მდ. ართხომსწყალზე
ვაზიანი-მარტყოფი-ნორი-ლვთაბას ს/გზის კმ1-კმ6.3 (კმ 51+37) ხიდი ღელეზე
სასადილო-სიონი ს/გზის (17.44კმ) ხიდი მდ. ვაშლიანიხევიზე
ნოქალაქი-ლაქაძაძე-დიდი ჭყონი კმ1-კმ7 (კმ 33) ხიდი ღელეზე



### ხიდი მდინარე ბიღარაზე

მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის 107-ე კილომეტრზე, მდ. ბიღარაზე 51 მეტრიანი ახალი ხიდი გერმანული ტექნოლოგიით აშენდა.

აღნიშნული ტექნოლოგიით ხიდების მშენებლობა შუალედური ბურჯების გარეშე ხდება, ის განსაკუთრებით ეფექტურია ღრმა ხეობებში ხიდების მშენებლობის დროს, რადგან ის საყრდენი ბურჯების მშენებლობის დამატებით ხარჯებს და მშენებლობის ვადებს ამცირებს.

### მსოფლიო ბანკის პროექტები

შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების რეაბილიტაციის მეორე პროექტის (SLRP II)

- თბილისი-თიანეთი ს/გზის კმ39-კმ51 მონაკვეთის რეაბილიტაცია
- ულიანოვკა-ბოდბე-გამარჯვაბა ს/გზის კმ0-კმ21 მონაკვეთის რეაბილიტაცია
- მცხეთა-შიო მღვიმეს მონასტერი კმ4-კმ12 მონაკვეთის რეაბილიტაცია
- ჯიათურა-კერევისა-სვერი-თვალუეთი-გებრული ს/გზის კმ8 - კმ22 მონაკვეთის რეაბილიტაცია

შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების რეაბილიტაციის მესამე პროექტის (SLRP III)

- სასადილო-ორხევი-ხევსურთსოფელი ს/გზის კმ18.5-კმ21 მონაკვეთის რეაბილიტაცია (სიონის გადასახვევი, ორხევი-დორეულაბი) და ორხევი-სიონი ს/გზა კმ 1-კმ2
- აგარა-ყორნისი-ცხინვალის ს/გზის კმ1-კმ4; კმ9-კმ16 მონაკვეთების რეაბილიტაცია (აგარა-კნოლავი)
- ა/მ მლაშე-მოხე-დარცალი ს/გზის კმ1-კმ11.34 მონაკვეთის რეაბილიტაცია
- ახალქალაქი-ნოსტა-მთიულთუბანი ს/გზის კმ0-კმ5 მონაკვეთის რეაბილიტაცია- ლოტი II
- “ნოქალაქევი-ლექაქაძე-დიდი ჟყონი კმ1-კმ7 მონაკვეთის რეაბილიტაცია (ლოტი II)
- ქუთაისი-ხონი-სამბრელია ს/გზის კმ35-კმ40 მონაკვეთის რეაბილიტაცია
- “ნოსირი-გეჯათი-ნოქალაქევი კმ11-კმ16 (ლოტი I კმ)” მონაკვეთის რეაბილიტაცია
- ახალქალაქი-რკონი ს/გზის კმ1-კმ4 (ახალქალაქი-ერთაწმინდა) მონაკვეთის რეაბილიტაცია - ლოტი I
- წარეთელი-მირგოვკა-მულანლო-ქესალო ს/გზის კმ4-კმ16 მონაკვეთის რეაბილიტაცია-ლოტი I
- ბოლნისი-სიონის მონასტერი-წულრულაშენი ს/გზის კმ1-კმ9 (ბოლნისი-სიონის მონასტერი) - ლოტი II მონაკვეთის რეაბილიტაცია

კახეთის რეგიონის განვითარების პროექტი

- სასადილო-სიონი ს/გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები
- მცირე მასშტაბის საგზაო უსაფრთხოების გაუმჯობესება კახეთის რეგიონში (ნაწილი III-2)
- მცირე მასშტაბის საგზაო უსაფრთხოების გაუმჯობესება კახეთის რეგიონში (ნაწილი III-1)



საავტომობილო გზების რეაბილიტაციის პროექტების ფარგლებში, სარეაბილიტაციო და პერიოდული შეკეთების სამუშაოები მიმდინარეობდა 2014 წლიდან 2015 წელს გარდამავალ ობიექტებსა და 2015 წლის გეგმით გათვალისწინებულ ახალ ობიექტებზე.

ასევე, დეპარტამენტმა შეასრულა მთავრობის განკარგულებით დავალებული ცალკეული ადგილობრივი მნიშვნელობის გზებისა და ხიდების რეაბილიტაციის პროექტები. კერძოდ, 2015 წელს მთავრობის განკარგულებით განხორციელდა 4 საგზაო მონაკვეთის რეაბილიტაციისა და 1 ხიდის მშენებლობის სამუშაოები.

საავტომობილო გზების რეაბილიტაციის სამუშაოები საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების თანადაფინანსებით, საავტომობილო გზების დეპარტამენტის ბაზაზე მიმდინარე პროექტების ფარგლებში ხორციელდება:

- საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის “გზების კარიოდული შეკეთება და რეაბილიტაციის” ლონისძიებები
- შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მეორე პროექტი (მსოფლიო ბანკის დაფინანსებით)
- შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მესამე პროექტი (მსოფლიო ბანკის დაფინანსებით)
- კახეთის რეგიონული გზების განვითარების პროექტი (მსოფლიო ბანკის დაფინანსებით)



### სასადილო-სიონის გზის რეაბილიტაცია

„კახეთის რეგიონული განვითარების პროექტის“ და SLRP-III პროექტის ფარგლებში, სასადილო-სიონის საავტომობილო გზის 17,3 კმ-ის, სასადილო-ორხევი-ხევსურთ-სოფელის 3,5 კმ-ისა და ორხევი-სიონის გზის 2 კმ-იანი მონაკვეთის რეაბილიტაცია დასრულდა.

აღნიშნული გზის ცალკეულ მონაკვეთებზე დაიგო როგორც ცემენტ-ბეტონის, ასევე, ასფალტ-ბეტონის საფარიანი გზის სავალი ნაწილი.

გზის რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში განხორციელდა წყალგამტარი მილების, სადრენაჟე სისტემების, ადგილობრივ გზებთან მიერთებების, გვერდულებისა და ეზოებში შესასვლელების მოწყობის სამუშაოები.

სასადილო-სიონის ს/გზის პროექტის განხორციელება

2014 წელს დაიწყო და მისი ღირებულება 10,2 მლნ. ლარს შეადგენს.

სასადილო-სიონის საავტომობილო გზის რეაბილიტაციის შედეგად, გადაადგილების პრობლემა მოუგვარდა 24 სოფელს და 4 000-მდე ადგილობრივ მოსახლეს. აღნიშნული საავტომობილო გზა საგარეჯოსა და თიანეთის მუნიციპალიტეტებს აკავშირებს.

სასადილო-სიონის საავტომობილო გზა აქტუალურია როგორც ადგილობრივი მოსახლეობისათვის, ასევე, ტურისტებისათვის, რადგან ის უმოკლესი მარშრუტია ტურისტული და სარეკრეაციო დანიშნულების ობიექტებამდე – სიონამდე, ბოჭორმის ციხემდე და წმ. გიორგის XII საუკუნის ეკლესიამდე.



### ვაზიანი-მარტყოფი-ნორიო-ღვთაებას საავტომობილო გზის რეაბილიტაცია

ვაზიანი-მარტყოფი-ნორიო-ღვთაებას საავტომობილო გზის 6,5 კმ-იანი მონაკვეთის რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში განხორციელდა: ასფალტ-ბეტონის საფარის, მოსახლეობის ეზოებში შესასვლელების, საზოგადოებრივი ტრანსპორტის გასაჩერებელი მოედნებისა და ავტოპავილიონების მოწყობის სამუშაოები. ამავე მონაკვეთზე, რეაბილიტაცია ჩაუტარდა არსებულ ხიდს და აშენდა ერთი ახალი სახიდე გადასასვლელი.

აღნიშნული გზა 30 წელზე მეტია არ შეკეთებულა, რის გამოც ნალექიან ამინდში გზა თითქმის გაუვალად ხდებოდა.

რეაბილიტირებული მონაკვეთი გარდაბნის მუნიციპალიტეტის 3 სოფელს: სააკაძეს, მარტყოფს და ნორიოს ერთმანეთთან და თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის საერთაშორისო მნიშვნელობის გზასთან აკავშირებს.

რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში, გზა თეთრ, წითელ და ყვითელ ფერებში დაიხაზა, რაც უფრო თვალსაჩინო მონიშვნაა და მეტი პრევენციის საშუალებას იძლევა. აღსანიშნავია, რომ დაზიანებების გამო, ამ გზაზე ავტოტრანსპორტის მოძრაობის სიჩქარეები დაბალი იყო, რეაბილიტაციის შემდეგ კი სიჩქარის მატების შესაძლებლობა გაიზარდა.

ვაზიანი-მარტყოფი-ნორიო-ღვთაებას საავტომობილო გზა VI საუკუნის ისტორიულ ძეგლთან - მარტყოფის ღვთაების ეკლესიასთანაც მიდის და ტურისტული თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანია.



### წერეთლი-მირზოევკა-მულანლო-ქესალოს საავტომობილო გზის რეაბილიტაცია


მარნეულის მუნიციპალიტეტში, წერეთლი-მირზოევკა-მულანლო-ქესალოს საავტომობილო გზის 12.5 კილომეტრიანი მონაკვეთის რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში 2015 წელს დასრულდა 9,3 კმ-იან მონაკვეთზე ასფალტ-ბეტონის საფარის დაგების სამუშაოები.

აღნიშნული პროექტი საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების რეაბილიტაციის პროექტის (SLRP III) ფარგლებში, მსოფლიო ბანკის დაფინანსებით მიმდინარეობს.

პროექტის ფარგლებში განხორციელდა ადგილობრივ გზებთან მიერთებების, წყალგამტარი მილების, კიუვეტების, საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებებისა და ტროტუარების მოწყობის სამუშაოები, ასევე, დამონტაჟდება საგზაო ნიშნები.

გზა წარმოადგენს ქალაქ მარნეულიდან უმოკლეს მარშრუტს წითელ ხიდადმდე (აზერბაიჯანის საზღვარი), გამოიყენება როგორც სატრანზიტო, ასევე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით.სარეაბილიტაციო მონაკვეთი გაივლის სოფლებს: წერეთლი, მირზოევკა, მულანლო და ქესალო.

სამუშაოები 2015 წლის თებერვალში დაიწყო და 2016 წელს დასრულდება. ასევე, 2015 წელს დასრულდა ამავე გზის 8,9 კმ-იანი მონაკვეთის რეაბილიტაცია საქართველოს ბიუჯეტის დაფინანსებით.





## სიღებოს გამოცდა

2015 წელს ჩატარდა 53 ხიდის გამოკვლევა-გამოცდა სტატიკურ და დინამიკურ დატვირთვებზე.

აღსანიშნავია, რომ მათი უმრავლესობა გასული საუკუნის 50-60-იან წლებში აგებული ხიდებია.

კვლევების შედეგად დადგინდა, რომ ნაგებობები სიძველის მიუხედავად, თანამედროვე დატვირთვების გატარებას (გარკვეული შეზღუდვებით) უზრუნველყოფენ.

აღმოჩენილი დეფექტების აღმოფხვრის მიზნით, დაგეგმილია მათი რეაბილიტაცია.



## კრიზისების მართვა

- სტიქიის ლიკვიდაცია-პრევენცია
- ნაკირდასვითი ღონისძიებები

კრიზისების შემსრულებელი  
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

**2015**

წელს საქართველოს რეგიონებში განვითარებული ხშირი სტიქიური მოვლენების — ძირითადად, წყალდიდობებისა და მეწყერების შედეგების ლიკვიდაციის სამუშაოებისათვის საქართველოს მთავრობის განკარგულებების საფუძველზე, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული ორგანიზაციების მიერ, 27 მლნ. ლარზე მეტი თანხის ღირებულების სამუშაოები განხორციელდა.

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის წლიური ბიუჯეტის ფარგლებში, სტიქიის შედეგების ლიკვიდაციისა და პრევენციის სამუშაოები 31 ობიექტზე შესრულდა (სამუშაოები დასრულდა 21, ხოლო მიმდინარეობს 10 ობიექტზე). აღნიშნული სამუშაოებისათვის 6.9 მლნ. ლარი დაიხარჯა.

სტიქიის ლიკვიდაციისა და პრევენციის სამუშაოები განხორციელდა 31 ობიექტზე. დაიხარჯა 6.9 მლნ. ლარი



2015 წლის ანბარში



### სტიქია ვერს ხეობაში

2014 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში, სტიქიური მოვლენების გააქტიურების გამო, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და საქვეყნებო ორგანიზაციების წარმომადგენლები სტიქიის შედეგების ლიკვიდაციის სამუშაოებს საგანგებო რეჟიმში ახორციელებდნენ. სტიქიამ განსაკუთრებით დიდი მოცულობის ზარალი მიაყენა დედაქალაქს, სადაც მდინარე ვერეს კალაპოტში წარმოქმნილმა ღვარცოფმა იმსხვერპლა ადამიანები და ზოოპარკის ბინადარი ცხოველები; დაანგრია სახლები, სხვა სამოქალაქო ნაბეობები, ზოოპარკი, საავტომობილო გზა.

13-14 ივნისის ღამეს, წყნეთი-ბეთანიის დამაკავშირებელ გზაზე დაახლოებით 500 000 კუბური მეტრის მოცულობის მენყერი ჩამონვა, რამაც მოძრაობის პარალიზება გამოიწვია. მერიის შესაბამის სამსახურებთან ერთად სტიქიის ადგილზე მოხდა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და საავტომობილო გზების დეპარტამენტის შესაბამისი სამსახურების მობილიზაცია, რომლებიც ოპერატიულად ჩაერთვნენ სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოებში. მდინარისა და შესაძლო ნიაღვრის გასატარებლად, დამონტაჟდა 3 სანიაღვრე მილი, რომელზეც მოეწყო საავტომობილო გზა. ოპერატიულად ჩატარებული სამუშაოების შედეგად, მოკლე დროში გახდა შესაძლებელი მაღალი გამავლობის ავტომობილების გატარება და ახალდაბის მოსახლეობისათვის სასმელი წყლისა და საკვები პროდუქტების მიწოდება.

წყნეთის ქუჩა 13 -ის მიმდებარე ტერიტორიაზე პრევენციის მიზნით, მოიჭრა კლდის ნაწილი და მდინარის კალაპოტი შეიცვალა. დაიწყო სამუშაოები მდინარის კალაპოტის მარჯვენა მხრიდან დამცავი კედლის ასაშენებლად. წყნეთი-ბეთანიის მონაკვეთზე გაიწმინდა სავალი ნაწილი, დამწყობილი ზონიდან გამოიყვანეს სტიქიის დროს ჩარჩენილი ავტომობილები.



### სტიქიის შედეგების ლიკვიდაცია-პრევენცია საავტომობილო გზაზე

ძლიერმა სეტყვამ, წვიმამ და ღვარცოფმა, ასევე, დააზიანა შიდა საუბნო გზები, სასოფლო სამეურნეო სავარგულეები, საკარმიდამო ნაკვეთები, გზის საფარი და წყალგამტარი მილები მცხეთის, ბორჯომის, ახალციხის, თეთრინყაროს, გორის მუნიციპალიტეტებსა და სოფლებში.

ქვეყნის მასშტაბით, სტიქიისაგან დაზიანებული საგზაო მონაკვეთების აღსადგენად, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, საავტომობილო გზების დეპარტამენტისა და შპს "სახელმწიფო სამშენებლო კომპანიის"

თანამშრომლები 24 საათიანი სამუშაო გრაფიკით მუშაობდნენ.

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გეოლოგთა ჯგუფის მიერ განხორციელდა მენყერის ჩამონოლის მიდამოების კვლევა. გეოლოგების დასკვნის შესაბამისად, დაიგეგმება მაღალი რისკის მქონე მიდამოებში მენყერის გზიდან არიდებისა და გზის დამცავი ღონისძიებები.

სტიქიის შედეგების ლიკვიდაციისა და პრევენციის სამუშაოები აქტიურად გრძელდება გასული წლიდან გარდამავალ ობიექტებზეც.



### გზების მოვლა-შენახვა და მიმდინარე შიკაბა

2015 წელს საავტომობილო გზების მოვლა-შენახვისა და მიმდინარე შიკაბის სამუშაოებისათვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან 38,9 მლნ. ლარი დაიხარჯა. მთელი წლის განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობდა საგზაო მონაკვეთებზე წარმოქმნილი დაზიანებების აღმოფხვრის, გზისპირა კლდეებიდან ქვათაცვენის კერების განმუხრისა და პრევენციის, ასევე, ზამთრის პერიოდში გზებზე თოვლმშენდისა და განვლადობის უზრუნველყოფის სამუშაოები.

წლის მიწურულს განსაკუთრებით აქტუალური გახდა ზამთრის პერიოდში გზების მოვლა-შენახვის ღონისძიებები, რადგან თითქმის ყველა რეგიონში დიდთოვლობა იყო. ქვეყნის მასშტაბით მოქმედებდა 100-მდე საყრდენი პუნქტი, სადაც მობილიზებული იყო თოვლმშენდი მექანიზმები და ტექნიკური მარლის მარაგი.

გზების მოვლა-შენახვის სამუშაოების მწარმოებელი კონტრაქტორი კომპანიები განმუხრით სამუშაოებს 24 საათიან რეჟიმში ასრულებდნენ. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტიდან მივლინებული ზედამხედველობის სამსახურის წარმომადგენლები კი მიმდინარე განმუხრით სამუშაოებს ადგილზე უწევდნენ კოორდინაციასა და მონიტორინგს.

ინტენსიური თოვისა და დაბალი ტემპერატურის პირობებში, გზებზე გადაადგილება ხორციელდებოდა სპეციალური რეჟიმებით; სადღეღამისო რეჟიმში მუშაობდა ცხელი ხაზი; საზოგადოებას გზებზე არსებული მდგომარეობისა და დაწესებული რეჟიმების შესახებ ინფორმაცია დაუყოვნებლივ მიეწოდებოდა.



საავტომობილო გზების დეკატრამენტის აქტივობა

პროექტის დასახელება	მდგომარეობა
თბილისი-ბაკურიანი-ლაგოდეხის ს/გზის კმ 118 (ქ. წნორი) წყალგამთარი მილის რეაბილიტაცია	დასრულდა
თბილისი-ბაკურიანი-ლაგოდეხის ს/გზის კმ 58 წყალგამთარი მილის მოწყობა	დასრულდა
გუმდინდი-ჭვარი-მესტია-ლასდილის ს/გზის კმ102 (ლახაპულა) სტიქიის კრევენციის ღონისძიებები	დასრულდა
ბათუმი(ანგისა)-ახალციხის ს/გზის კმ 23 ჩაწყვდილი მიწის ვაკისის აღდგენა	დასრულდა
გუმდინდი-ჭინაშკარი-ჩხოროწყის ს/გზის კმ23-კმ24 ბეთონის საწინააღმდეგარხის მოწყობა	დასრულდა
ქუთაისი-წყალტუბო-ცაგერი-ლენთენი-ლას-დილის ს/გზის კმ132-კმ133 კმ-ზე მიწის ვაკისის აღდგენა	დასრულდა
ქუთაისი-თყიბული-ამბროლაურის ს/გზის მ-6 კმ-ზე წყლის აცლილებისა და ფარდობების გაბაზრების ღონისძიებები	დასრულდა
ბათუმი-ახალციხის ს/გზის 82-ე კმ-ზე საყრდენი კედლის აღდგენა და მიწის ვაკისის მდგრადობის შესანარჩუნებელი სამუშაოები - I ეტაპი	დასრულდა
ბათუმი-ახალციხის ს/გზის 82-ე კმ-ზე საყრდენი კედლისა და მიწის ვაკისის აღდგენა - II ეტაპი	დასრულდა
მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის ს/გზის კმ134-კმ135 მონაკვეთზე (დარიალის ხეობა) სტიქიის შედეგების ლიკვიდაცია	დასრულდა
საჭავჭავო-ჩოხატაური-ოზურგეთი-ქობულეთის ს/გზის 29-ე კმ-ში მიწის ვაკისის გაპორეცხვის საწინააღმდეგო კრევენციული ღონისძიებები	დასრულდა
მთხმთი-ხიდი-გორდი-კინჩხას ს/გზის მ-14 კმ-ში წყლის აცლიება და კრევენცია	დასრულდა
თბილისი-ბაკურიანი-ლაგოდეხი ს/გზის 58-ე კმ-ში წყლის აცლიების კრევენციული ღონისძიებები	დასრულდა
გორი-ვარკეთილი-ცხინვალის ს/გზის პირველ კმ-ში წყლის აცლიების კრევენციული ღონისძიებები	დასრულდა
თბილისი-თიანეთის ს/გზის კმ22-კმ30 მოძრაობის უსაფრთხოების კრევენციული ღონისძიებები	დასრულდა
ნატანები-ჩოლოყის ს/გზის მ-3 კმ-ზე მდ. ნატანებზე ხიდის რეაბილიტაცია	დასრულდა



პროექტის დასახელება	მდგომარეობა
ქუთაისი-ალაზნა-მამისონის უღელტეხილის ს/გზის 132-ე კმ-ზე მდ. ჭანჭახზე ხიდის რეაბილიტაცია	დასრულდა
შუხუთი-აცანა-მამათი-ძიმიტის ს/გზის მ-17 კმ-ზე მდ.საფსაზე ხიდის რეაბილიტაცია	დასრულდა
თბილისი-ბაკურიანი-ლაგოდეხის ს/გზის 104-კმ-ზე ოთხკუთხე მილის რეაბილიტაცია	დასრულდა
უფლისციხესთან მისასვლელი ს/გზის მ-7 კმ-ზე მდ. მტკვარზე ხიდის რეაბილიტაცია	დასრულდა
თბილისი-სენაკი-ლესელიძის ს/გზის კმ33-ე და კმ39-ე მდგომარეობა, 41-ე კმ-ში მდ. ქსანზე ხიდის რეაბილიტაცია	დასრულდა
ოზურგეთი-ნიმუშილი-ლესას ს/გზის 5 უბანზე მიწის ვაკისის ჩაწყვდილის საწინააღმდეგო კრევენციული ღონისძიებები	მიმდინარე
ჩალაუბანი-სიღნაღი-ნაგას ს/გზის მ-15 კმ-ში საყრდენი კედლის აღდგენა	მიმდინარე
გუმდინდი-ჭვარი-მესტია-ლასდილის ს/გზის მ-100 კმ-ში მიწის ვაკისის ჩაწყვდილის საწინააღმდეგო კრევენციული ღონისძიებები	მიმდინარე
ხორნაბუჯი-ერისიძის ს/გზის მ-20 კმ-ზე მდ.ალაზნაზე ხიდზე კრევენციული ღონისძიებები	მიმდინარე
ქუთაისი-წყალტუბო-ცაგერი-ლენთენი-ლასდილის ს/გზის 86-ე კმ-ში ხიდზე კრევენციული ღონისძიებები	მიმდინარე
ქუთაისი-წყალტუბო-ცაგერი-ლენთენი-ლასდილის ს/გზის 82-ე კმ-ში მიწის ვაკისის ჩაწყვდილის საწინააღმდეგო კრევენციული ღონისძიებები	მიმდინარე
ქუთაისი-წყალტუბო-ცაგერი-ლენთენი-ლასდილის ს/გზის 79-ე კმ-ში მიწის ვაკისის ჩაწყვდილის საწინააღმდეგო კრევენციული ღონისძიებები	მიმდინარე
ბათუმი-ახალციხის ს/გზის 57-ე კმ-ში მიწის ვაკისის ჩაწყვდილის საწინააღმდეგო კრევენციული ღონისძიებები	მიმდინარე
ჩოლაბურის ხიდი-თერჯოლა-თყიბულის ს/გზის 29-ე კმ-ზე მდ. თყიბულაზე ხიდზე კალაპოთში მდინარის წყლის რეჟიმის რეგულირების კრევენციული სამუშაოები	მიმდინარე
გუმდინდი-ნარაგენი-ძველი ხიბულა-ახალი ხიბულა-გუბის ს/გზის მ-2 კმ-ზე მდ. ჭუმზე ხიდზე სარეგულაციო ნაგებობის კრევენციული ღონისძიებები	მიმდინარე

## გზისპირა კლდეების ჩამონახედი

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაკვეთით, 2015 წელს ქვეყნის ძირითად მაგისტრალზე გზისპირა კლდეების არამდგრადი ქანებისაგან განმედიდის გეგმიური სამუშაოები ჩატარდა.

პრევენციის მიზნით, კლდეებიდან ქანების ჩამონახედიდის სამუშაოები ყოველწლიურად სრულდება, თუმცა, ქვათაცვენის პრობლემა უფრო აქტუალური ხდება ჭარბი ნალექების გამო ქანების შლის პროცესის გააქტიურებასთან დაკავშირებით.

ქვეყნის თითქმის ყველა მაღალმთიან მუნიციპალიტეტში, ჯამში 62 910 მ<sup>2</sup> ფართობზე, 274 ათასი ლარის ღირებულების განმედიდითი სამუშაოები ჩატარდა.

გზისპირა კლდოვანი მონაკვეთების განმედიდით სამუშაოებს, სპეციალური თანამედროვე აღჭურვილობითა და საერთაშორისო უსაფრთხოების ნორმების დაცვით, პროფესიონალი მთამსვლელები ასრულებენ.



### 2015 წელს ჩატარებული სამუშაოები

გზის დასახელება	ფართობი მ <sup>2</sup>
მცხეთა-სთეფანწმინდა-ლარსის ს/გზა	10 500
ხაშური - ახალციხე - ვალეის ს/გზა	6 120
თბილისი - სენაკი - ლესელიძის (რიკოთი) ს/გზა	4 300
გომი-სახხერა-ჭიათურის ს/გზა	6 400
ქუთაისი-წყალტუბო-ცაგერ-ლენტიხი-ლასდილის ს/გზა	7 500
ლენტიხი-ბავარის ს/გზა	3 000
გუგუდუნი-ჭვარი-მესტია-ლასდილის ს/გზა	5 050
სენაკი-ფოთი -სარფის (სარფი) ს/გზა	1 000
ბათუმი -ახალციხის (ქედა, ხულო) ს/გზა	19 040
<b>ჯამი</b>	<b>62 910</b>

საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2015 წლის აქტივობა

ქ.რუსთავი მდ.მდკვარზე (ძველ ხიდთან) ნაკირსამაგრი სამუშაოები	დასრულდა
სოფ.გიორგეთში ნაკირსამაგრი სამუშაოები მდ.კაბალზე	დასრულდა
სოფ.გონების კარში მდ.აქუხას კალაპოტში ნაკირსამაგრი სამუშაოები	დასრულდა
სოფ.ფარში ნაკირსამაგრი სამუშაო მდ.უსახელო ხევზე	დასრულდა
სოფ.ბოდბისხევში არსებული ხევის ჯალა-კალაპოტში ნაკირსამაგრი სამუშაოები (II ეტაპი)	დასრულდა
სოფ.დიშში მდინარე ხანისწყალზე ნაკირსამაგრი სამუშაოები	დასრულდა
სოფ.სალხინოში მდ.თეხურას კალაპოტში ნაკირსამაგრი სამუშაოები	დასრულდა
სოფელ ჯანდარში უსახელო ხევის ნაკირსამაგრი სამუშაოები	დასრულდა
მდ.თერგის კალაპოტის დროებითი კრევენციული ნაკირსამაგრი ღონისძიებები	დასრულდა
ხობის მუნიციპალიტეტის, სოფ.ძველ ხიბულაში მდ.ჯანისწყლის კალაპოტში ნაკირდაცვასი ნაგებობის პროექტი	დასრულდა
ქ. ბათუმში, მარკოზ აჭარაის IV ჩიქში მდ. ყოროლისწყალის კალაპოტის ნაკირსამაგრი სამუშაოები	დასრულდა
ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მდ.ბაზრისწყალის მარცხენა სანაკირზე არსებული საყრდენი კედლის გაგრძელება ნაკირსამაგრი სამუშაოები	დასრულდა
ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ფანაგაში მდინარე ცხენისწყლის კალაპოტის ნაკირსამაგრი სამუშაოები	დასრულდა
ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში, შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზადიდი-ჭიხაშკარი-ჩხოროწყუს გზის 24-ე კმ-ის მიმდებარედ მდ.ხობისწყალის ნაკირსამაგრი სამუშაოები	დასრულდა
თელავის მუნიციპალიტეტის სოფ.ართანაში მდ.ლოკოტაზე ნაკირსამაგრი სამუშაოები	დასრულდა
შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სასადილო-სიონის საავტომობილო გზის კმ2+600 მონაკვეთის მიმდებარედ, მდ.იორის ჯალა-კალაპოტის ნაკირსამაგრი სამუშაოების პროექტი	დასრულდა
ყაზბეგის მუნიციპალიტეტი სოფ.სნო მდ.სნოსა და რუისწყალზე ნაკირსამაგრი სამუშაოები	დასრულდა
სოფელ გრიგოლეთში ზღვის სანაკირო გოლში 1 კმ სიგრძის მონაკვეთზე ნაკირდაცვისა და ნაკირალდგენითი დროებითი კრევენციული ღონისძიებების სამუშაოები	დასრულდა
ქ.ბათუმი გოგილაშვილის ქუჩის მიმდებარედ მდ.ჩაქვისწყალზე ნაკირსამაგრი სამუშაოები	მიმდინარე
სოფელი სამთაწყარო მე-5 ყურე მდინარე ალაზანზე ნაკირსამაგრი სამუშაოები	მიმდინარე
ლანჩხუტის მუნიციპალიტეტის, სოფ.გრიგოლეთში სახელმწიფო საზღვრის დაცვის საზღვაო ოპერაციების მართვის ცენტრის შენობის მიმდებარედ, სანაკირო გოლში ნაკირდაცვის დროებითი კრევენციული ღონისძიებების სამუშაოები	მიმდინარე

ნაკირდაცვითი ღონისძიებები

სტიქიური მოვლენების გააქტიურების ფონზე მნიშვნელოვანია მდინარეებისა და ზღვის ნაკირდაცვითი ღონისძიებები, რაც პრევენციულ ხასიათს ატარებს და წყალმოვარდნებისაგან იცავს გზას, მოსახლეობასა და სასოფლო სავარგულს.

საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაკვეთით, 2015 წელს, ნაკირსამაგრი სამუშაოები მიმდინარეობდა 21 ობიექტზე. აქედან, 18 ობიექტზე სამუშაოები დასრულდა, ხოლო 3 გარდამავალი პროექტია. წლის განმავლობაში შესრულდა 8 მლნ. ლარის ღირებულების სამუშაოები.

აღნიშნული პროექტების ფარგლებში, კრიტიკულ კერებში შესრულდა ბეტონის კედლების, გაბიონის ნაგებობების, ქვანაყარი ბერმებისა და მდინარეთა კალაპოტების განმენდა-გასწორება ზოვნების სამუშაოები.



2015 წელს ნაკირსამაგრი სამუშაოები განხორციელდა 21 ობიექტზე





საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

2015 წელი

**ბედნიერად იმგზავრეთ  
საქართველოს გზებზე!**

